

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35
2015 წლის 25 დეკემბერი

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარ ქარცივაძე

შუახევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6843.982	7655.429	606.372	7049.057	7332.962	0.000	7332.962
გადასახადები	220.858	455.900	0.000	455.900	830.000	0.000	830.000
გრანტები	6242.159	6972.629	606.372	6366.257	6340.162	0.000	6340.162
სხვა შემოსავლები	380.965	226.900	0.000	226.900	162.800	0.000	162.800
ხარჯები	4076.840	4494.707	9.662	4485.045	4184.362	0.000	4184.362
შრომის ანაზღაურება	1646.055	1324.480	0.000	1324.480	1348.160	0.000	1348.160
საკონელი და მომსახურება	731.926	967.737	9.662	958.075	855.240	0.000	855.240
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	1202.135	1380.695	0.000	1380.695	1592.740	0.000	1592.740
გრანტები	0.000	204.000	0.000	204.000	0.000	0.000	0.000



სოციალური უზრუნველყოფა	496.724	547.795	0.000	547.795	318.222	0.000	318.222
სხვა ხარჯები	0.000	70.000	0.000	70.000	70.000	0.000	70.000
საოპრაციო სალდო	2767.142	3160.722	596.710	2564.012	3148.600	0.000	3148.600
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2916.874	4047.818	596.710	3451.108	3280.190	0.000	3280.190
ზრდა	2920.303	4047.818	596.710	3451.108	3280.190	0.000	3280.190
კლება	3.429	0.000			0.000		
მთლიანი სალდო	-149.732	-887.096	0.000	-887.096	-131.590	0.000	-131.590
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1052.698	-902.596	0.000	-902.596	-131.590	0.000	-131.590
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტი	0.000	0.000			0.000		
სესხები	0.000	0.000			0.000		
კლება	1052.698	902.596	0.000	902.596	131.590	0.000	131.590
ვალუტა და დეპოზიტი	1052.698	902.596		902.596	131.590		131.590
სესხები	0.000	0.000			0.000		
ვალდებულებების ცვლილება	-0.370	-15.500	0.000	-15.500	0.000	0.000	0.000
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
საგარეო	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
კლება	0.370	15.500	0.000	15.500	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.370	15.500		15.500	0.000		0.000
საგარეო	0.000	0.000			0.000		
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6,847.411	7,655.429	606.372	7,049.057	7,332.962	0.000	7,332.962
შემოსავლები	6,843.982	7,655.429	606.372	7,049.057	7,332.962	0.000	7,332.962
არაფინანსური აქტივების კლება	3.429	0.000		0.000	0.000		0.000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
ვალდებულებების ზრდა	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
გადასახდელები	6,997.513	8,558.025	606.372	7,951.653	7,464.552	0.000	7,464.552
ხარჯები	4,076.840	4,494.707	9.662	4,485.045	4,184.362	0.000	4,184.362
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,920.303	4,047.818	596.710	3,451.108	3,280.190	0.000	3,280.190



ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალდებულებების კლება	0.370	15.500	0.000	15.500	0.000	0.000	0.000
ნაშთის ცვლელება	-150.102	-902.596	0.000	-902.596	-131.590	0.000	-131.590

მუხლი 3. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 332 962 ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,843.982	7,655.429	606.372	7,049.057	7,332.962	0.000	7,332.962
გადასახადები	220.858	455.900	0.000	455.900	830.000	0.000	830.000
გრანტები	6,242.159	6,972.629	606.372	6,366.257	6,340.162	0.000	6,340.162
სხვა შემოსავლები	380.965	226.900	0.000	226.900	162.800	0.000	162.800

მუხლი 4. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები 830 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	220.858	455.900	0.000	455.900	830.000	0.000	830.000
ქონების გადასახადი	220.858	455.900	0.000	455.900	830.000	0.000	830.000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	214.880	449.900		449.900	624.500		624.500
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.246	1.000		1.000	1.000		1.000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0.838	0.000			0.000		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	4.894	5.000		5.000	4.500		4.500
საშემოსავლო გადასახადი	0.000	0.000			200.000		200.000
სხვა გადასახადი	0.000	0.000			0.000		

მუხლი 5. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები 6 340 162 ლარის



ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	6,242.159	6,972.629	606.372	6,366.257	6,340.162	0.000	6,340.162
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,497.566	1,500.000		1,500.000	2,124.362		2,124.362
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,611.268	4,839.072	606.372	4,232.700	4,207.200	0.000	4,207.200
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,009.700	4,232.700	0.000	4,232.700	4,207.200	0.000	4,207.200
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,009.700	4,232.700		4,232.700	4,207.200		4,207.200
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	601.568	606.372	606.372	0.000	0.000	0.000	0.000
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	601.568	606.372	606.372		0.000		
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.000	0.000			0.000		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.000	0.000			0.000		
სხვა ტრანსფერები	133.325	633.557		633.557	8.600		8.600

მუხლი 6. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 162 800 ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	380.965	226.900	0.000	226.900	162.800	0.000	162.800
შემოსავლები საკუთრებიდან	271.079	149.200	0.000	149.200	108.800	0.000	108.800
პროცენტები	184.698	81.400	0.000	81.400	50.000	0.000	50.000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	184.698	81.400		81.400	50.000		50.000
რენტა	86.381	67.800	0.000	67.800	58.800	0.000	58.800
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	86.153	67.800		67.800	58.800		58.800
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	0.228	0.000			0.000		



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	22.158	15.200	0.000	15.200	24.000	0.000	24.000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	10.264	10.200	0.000	10.200	10.000	0.000	10.000
სანებართვო მოსაკრებელი	0.110	1.000		1.000	0.000		0.000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	0.110	1.000		1.000	0.000		
სახელმწიფო ბაჟი	0.000	0.000			0.000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.032	0.000			0.000		
სატენდერო მოსაკრებელი	0.000	0.000			0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.000	0.000			0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.000	0.000			0.000		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	10.122	9.200		9.200	10.000		10.000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11.894	5.000	0.000	5.000	14.000	0.000	14.000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11.894	5.000	0.000	5.000	14.000	0.000	14.000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	0.000	0.000			0.000		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11.894	5.000	0.000	5.000	14.000	0.000	14.000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	11.894	5.000		5.000	14.000		14.000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	0.000	0.000			0.000		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	81.809	62.500		62.500	30.000		30.000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5.919	0.000			0.000		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4 184 362 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4,076.840	4,494.707	9.662	4,485.045	4,184.362	0.000	4,184.362
შრომის ანაზღაურება	1,646.055	1,324.480	0.000	1,324.480	1,348.160	0.000	1,348.160
საქონელი და მომსახურება	731.926	967.737	9.662	958.075	855.240	0.000	855.240



პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	1,202.135	1,380.695	0.000	1,380.695	1,592.740	0.000	1,592.740
გრანტები		204.000	0.000	204.000	0.000	0.000	0.000
სოციალური უზრუნველყოფა	496.724	547.795	0.000	547.795	318.222	0.000	318.222
სხვა ხარჯი	0.000	70.000	0.000	70.000	70.000	0.000	70.000

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3 280 190 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 280 190 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	18.523	30.630	0.000	30.630	0.000	0.000	0.000
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	205.190	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2288.005	3267.495	596.710	2670.785	2608.900	0.000	2608.900
განათლება	122.925	600.000	0.000	600.000	566.290	0.000	566.290
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	280.175	140.893	0.000	140.893	105.000	0.000	105.000
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5.485	8.800	0.000	8.800	0.000	0.000	0.000
ჯამი	2920.303	4047.818	596.710	3451.108	3280.190	0.000	3280.190

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



	ტრანსფერები				ტრანსფერები		
არაფინანსური აქტივები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ძირითადი აქტივები	0.000	0.000			0.000		
არაწარმოებული აქტივები	0.000	0.000			0.000		

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

გადასახდელების (ხარჯების) დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,631.181	1,933.595	0.000	1,933.595	1,811.400	0.000	1,811.400
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,611.604	1,759.648	0.000	1,759.648	1,811.400	0.000	1,811.400
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,506.137	1,689.648		1,689.648	1,741.400		1,741.400
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	105.467	70.000		70.000	70.000		70.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	19.577	173.947		173.947	0.000		0.000
თავდაცვა	92.219	74.020	0.000	74.020	77.900	0.000	77.900
სამოქალაქო თავდაცვა	92.219	74.020		74.020	77.900		77.900
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	463.830	235.520	0.000	235.520	0.000	0.000	0.000
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
სახანძრო სამსახური	463.830	235.520		235.520	0.000		0.000
ეკონომიკური საქმიანობა	180.067	131.500	0.000	131.500	175.300	0.000	175.300
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა							
ტრანსპორტი	44.999	131.500		131.500	175.300		175.300
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	135.068	0.000		0.000	0.000		0.000
გარემოს დაცვა	225.480	114.500	0.000	114.500	110.000	0.000	110.000
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	102.831	105.000		105.000	110.000		110.000
ჩამდინარე წყლების მართვა	122.649	9.500		9.500	0.000		0.000
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,378.188	3,447.187	0.000	3,447.187	2,756.200	0.000	2,756.200
კომუნალური მეურნეობის განვითარება	319.074	364.000		364.000	315.000		315.000
წყალმომარაგება	1,310.522	2,156.815		2,156.815	2,257.200		2,257.200



გარე განათება	48.269	231.000		231.000	100.000		100.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	700.323	695.372		695.372	84.000		84.000
ჯამრთელობის დაცვა	81.261	133.710	0.000	133.710	158.160	0.000	158.160
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება							
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში	81.261	133.710		133.710	158.160		158.160
დასვენება, კულტურა და რელიგია	934.505	738.993	0.000	738.993	721.700	0.000	721.700
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	275.297	261.893		261.893	232.700		232.700
მომსახურება კულტურის სფეროში	498.475	462.100		462.100	474.000		474.000
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	14.035	15.000		15.000	15.000		15.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	146.698	0.000		0.000	0.000		0.000
განათლება	659.937	1,248.400	0.000	1,248.400	1,389.330	0.000	1,389.330
სკოლამდელი აღზრდა	330.637	852.525		852.525	1,143.490		1,143.490
ზოგადი განათლება	0.000	0.000			0.000		
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.000	0.000			0.000		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	329.300	395.875		395.875	245.840		245.840
სოციალური დაცვა	350.475	485.100	0.000	485.100	264.562	0.000	264.562
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	31.585	38.000		38.000	40.000		40.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	318.890	447.100		447.100	224.562		224.562
სულ ბიუჯეტის გადასახდელები	6,997.143	8,542.525	0.000	8,542.525	7,464.552	0.000	7,464.552

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -131 590 ლარის ოდენობით

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -131 590 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -131 590 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70000 ლარის ოდენობით დამისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება პროგრამული კოდი 02 00

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით



აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდგომი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მისი ექსპლუატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარიული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება, ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ კუთხით გათვალისწინებულია სხვადასხვა სოფლებში გზების რეაბილიტაცია რაზეც გამოყოფილია 170 000 ლარი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემას.

2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია დაბისა და მიმდებარე სოფლებისათვის შიპჩამჭერების და საჭირო მოწყობილობების შექმნა და ახალი წერტილების მონტაჟი.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო



ნარჩენებისგან ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სანიტარიული დასუფთავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ორი ღონისძიება:

1. დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის დასუფთავება.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება – 81992 კვ.მ, მწვანე საფარის დასუფთავება–39700 კვ.მ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა – 1000 მ³ კონტეინერების მოვლა-პატრონობა 40 ცალი.

2.2.2.1 უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია

(პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოველების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარიულ ჰიგიენური პირობების დაცვას, მაწანწალა ცხოველებთან ბრძოლას. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გაუნებელყოფა. რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. დასახლებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ჩამოსულ სტუმართა კეთილდღეობას.

2.2.3 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები

(პირობითი კოდი 03 02 03)

მოსახლეობის სასმელი წყლით მიმარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სულ მუნიციპალიტეტში 13 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი. 2016 წელში დაგეგმილია ახალი მაგისტრალის მშენებლობა 2000000 ლარის. გამართული მუშაობისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების აღმოფხვრისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „შუახვევის წყალკანალი“, სადაც დასაქმებულია 37 თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს სარწყავი არხების მოვლა-შენახვის პროგრამა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 სარწყავი არხი, სადაც დასაქმებულია (4 თვის განმავლობაში) 53 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ 243 კმ სიგრძის არხების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული არხებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის სოფლების 3110 ოჯახი. ასევე სოფლებში მოეწყობა სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზების მშენებლობა

2.2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები

(პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის კეთილმოწყობის ღონისძიებები: კერძოდ, მოეწყობა დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების კეთილმოწყობა.

2.3. გამწვანების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია დაბის ტერიტორიის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიაზე ნარგავების გაშენებას და არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობას(მორწყვას, გასხვლას) მუნიციპალიტეტის არსებული მწვანე საფარის დასუფთავებას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნერგის დარგვა; მწვანე საფარის გასხვლა-გაწმენდა; ნარგავების თოვლისაგან გაწმენდა.

3. საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების 2016 წლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 577200 ლარს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 250 ბავშვი. სამტატო რიცხოვნობა 2016 წლისათვის შეადგენს 67 ერთეულს. ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით ფუნქციონირებას დაიწყებს დამატებით სამი ბაღი. ასევე იგეგმება ახალი ბაღების მშენებლობა ორი ერთეულის 260000 ლარის.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რაც აღნიშნულ სოფლებში სკოლების სიშორის გამო არის გამოწვეული. ყოველივე ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლის, განათლების და ჯამრთელობის დაცვისათვის სათანადო

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: საფეხბურთო კლუბი „მერანი“ და აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“, ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 36 ბავშვი. აღნიშნული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა) წრეები სადაც დაკავებულია 163 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 82 ბავშვი ვარჯიშობს. აღმზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 17-ს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

ასევე სოფელ სხეფში, ჭაბნიძეებში და ოლადაურში მოეწყობა ახალი სპორტული მოედნები, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად



ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

4.2.1 ა.ი.პ შუახევის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

შუახევის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს დრამატურიისა და ნორჩ დეკლამატორთა შემსწავლელი წრე, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, ქსოვის, ქარგვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვისა და დაწყებითი მოდელირების წრეები რომელთაგან 50 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა.

4.2.2 ა.ა.ი.პ შუახევის ხელოვნების სკოლა

(პროგრამული კოდი 05 02 02)

აიპი შუახევის „სახელოვნებო სკოლა“-ში ამჟამად სწავლობს 84 ბავშვი, წლიური შენატანი თითოეულ ბავშვზე შეადგენს არსებობს სამი ჯგუფი: საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური ჯგუფები, სკოლაში მუშაობს 12 პედაგოგი. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5. 1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

(პროგრამული კოდი 06 01)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 მიზნობრივი პროგრამა. რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.

5.1. 1 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების (ეპილეფსიით)მედიკამენტური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ეპილეფსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილეფსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ეპილეფსიით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ხდება საჭიროებისამებრ მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.



5.1.2 აიპ შუახვევის სოციალური მომსახურების სერვისცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიების ტრანსპორტითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარე თემები და სოფლები მნიშვნელოვნად დაშორებულია დაბის ცენტრთან, მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურებისა და ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აღნიშნული პროგრამით შესაძლებელი იქნება თემებში მდებარე ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და თემებში დასაქმებული მედპერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობას გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებს გადაეცემათ 8 ავტომობილი–ნივა, რომელიც მოსახლეობაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით უზრუნველყოფს ამბულატორიის მედპერსონალის ტრანსპორტირებას.

5.1.3 პარკისონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა პროგრამა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები პარკისონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 02 01)

უფასო სასადილოს პროგრამითსარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველიუკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა,მზრუნველობამოკლებულიდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42 ბენეფიციარი.ხორციელდება ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

5.2.3 პირველი და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული პროგრამა რომელიც ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას:

- მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 500 ლარი;
- მეოთხე შვილის შეძენის შემთხვევაში 700 ლარი;
- მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენის შემთხვევაში 900 ლარი;

5.2.4 ხუთ და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მრავალშვილიან ოჯახს გაეწევა დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

5.2.5 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 06)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ამუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის მოხდება დახმარების გაცემა თითოეულ ოჯახზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

5.2.6 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 10)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა. თითოეულზე ყოველწლიურად 1000 ლარის ოდენობით.

5.2.7 შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალზზე მყოფი ავადმყოფების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11)

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების სატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. აღნიშნული ბენეფიციარები ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს.

თავი III

შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი		2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან განთავსებული ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებანი	6997.513	8558.025	606.372	7951.653	7464.552	0.000	7464.552
	მომუშავეთა რიცხოვნობა	108.000	105	0	105	105	0	105
	ხარჯები	4076.840	4494.707	9.662	4485.045	4184.362	0.000	4184.362
	შრომის ანაზღაურება	1646.055	1324.480	0.000	1324.480	1348.160	0.000	1348.160
	საქონელი და მომსახურეობა	731.926	967.737	9.662	958.075	855.240	0.000	855.240
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	66.220	46.500	0.000	46.500	48.600	0.000	48.600
	მივლინებები	21.658	19.940	0.000	19.940	19.700	0.000	19.700
	ოფისის ხარჯები	98.897	140.575	9.662	130.913	137.010	0.000	137.010
	წარმომადგენლობითი ხარჯი	6.167	6.200	0.000	6.200	6.200	0.000	6.200
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	5.371	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	126.171	113.140	0.000	113.140	113.960	0.000	113.960



	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	407.442	641.382	0.000	641.382	529.770	0.000	529.770
	სუბსიდიები	1202.135	1380.695	0.000	1380.695	1592.740	0.000	1592.740
	გრანტები	0.000	204.000	0.000	204.000	0.000	0.000	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	496.724	547.795	0.000	547.795	318.222	0.000	318.222
	სხვა ხარჯები	0.000	70.000	0.000	70.000	70.000	0.000	70.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2920.303	4047.818	596.710	3451.108	3280.190	0.000	3280.190
	ვალდებულებების კლება	0.370	15.500	0.000	15.500	0.000	0.000	0.000
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1934.204	1949.095	0.000	1949.095	1811.400	0.000	1811.400
	მომუშავეთა რიცხოვნობა	78.000	100	0	100	100.000	0.000	100.000
	ხარჯები	1915.311	1902.965	0.000	1902.965	1811.400	0.000	1811.400
	შრომის ანაზღაურება	1344.157	1273.120	0.000	1273.120	1297.280	0.000	1297.280
	საქონელი და მომსახურება	359.628	555.120	0.000	555.120	444.120	0.000	444.120
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	56.888	40.900	0.000	40.900	43.200	0.000	43.200
	მივლინებები	19.157	18.440	0.000	18.440	18.200	0.000	18.200
	ოფისის ხარჯები	91.613	126.573	0.000	126.573	132.170	0.000	132.170
	წარმომადგენლობითი ხარჯი	6.167	6.200	0.000	6.200	6.200	0.000	6.200
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მენახვის ხარჯები	106.326	102.860	0.000	102.860	103.680	0.000	103.680
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	79.477	260.147	0.000	260.147	140.670	0.000	140.670
	სუბსიდიები	88.452	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	123.074	4.725	0.000	4.725	0.000	0.000	0.000
	სხვა ხარჯები	0.000	70.000	0.000	70.000	70.000	0.000	70.000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.523	30.630	0.000	30.630	0.000	0.000	0.000
	ვალდებულებების კლება	0.370	15.500	0.000	15.500	0.000	0.000	0.000
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	515.244	523.270	0.000	523.270	517.800	0.000	517.800
	მომუშავეთა რიცხოვნობა	21.000	22	0	22	22.000	0.000	22.000
	ხარჯები	509.712	511.040	0.000	511.040	517.800	0.000	517.800



	შრომის ანაზღაურება	353.365	446.540	0.000	446.540	402.560	0.000	402.560
	საქონელი და მომსახურება	63.615	64.500	0.000	64.500	115.240	0.000	115.240
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.200	5.200		5.200	5.400		5.400
	მივლინებები	4.080	4.000		4.000	3.000		3.000
	ოფისის ხარჯები	16.891	21.020		21.020	19.090		19.090
	წარმომადგენლობითი ხარჯი	2.199	2.200		2.200	2.200		2.200
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	29.070	27.080		27.080	27.080		27.080
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	7.175	5.000		5.000	58.470		58.470
	სუბსიდიები	88.452	0.000		0.000	0.000		0.000
	სოციალური უზრუნველყოფა	4.280	0.000		0.000	0		0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.532	12.230	0.000	12.230	0.000	0.000	0.000
01 02	მუნიციპალიტეტის გაბეგობა	1393.607	0.000	0.000	1166.378	0.000	0.000	1223.600
	მომუშავეთა რიცხოვნობა	55	78	0	78	0	0	78
	ხარჯები	1383.516	0.000	0.000	1143.253	0.000	0.000	1223.600
	შრომის ანაზღაურება	986.112	0.000	0.000	826.580	0.000	0.000	894.720
